ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმების

## აუდიტორული ანგარიში

(01.01.2020 – 01.01.2022 წ)

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

ოქტომბერი 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი..... 3
ა. ზოგადი ნაწილი..... 3
ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....3
2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები.....5
3. ძირითადი რისკები.....6
4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოსაზრების განხილვის შედეგები.....6-7
5. რეკომენდაციები.....7
6. ხელმოწერები.....7

1. შესავალი

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.აუდიტის პერიოდი - 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ჩატარების ვადა - 2022 წლის 07 სექტემბრიდან 2022 წლის 12 ოქტომბრამდე.

შიდა აუდიტის სახე: შესაბამისობის აუდიტი.

შიდა აუდიტის ამოცანა:

1. ობიექტის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება.

2. სამსახურის ფუნქციონირების, მის მიერ შემუშავებული აქტებისა და საქმისწარმოების შემოწმება-გაანალიზება.

სამსახურის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე. ანგარიშში ძირითადად ასახულია ის შენიშვნები, ხარვეზები და რისკები, რომლებიც გამოიკვეთა ობიექტის შემოწმებისას.

ბ. შესამოწმებელ სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას და მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის,

სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით. სამსახურს აქვს შესაბამისი ბლანკი და ბეჭედი სამსახურის დასახელების აღნიშვნით. სამსახურის იურიდიული მისამართია: დაბა ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა №15.

სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულია მუნიციპალური ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილება.

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას;

ბ) ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

გ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას;

დ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის, ინვესტორებთან თანამშრომლობის, შესაბამისი საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების მომზადების საკითხებზე;

ე) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;

ვ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციას;

ზ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას მუნიციპალიტეტის ქონებისათვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე;

თ) წინადადებების მომზადებას მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;

ი) წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე;

კ) წინადადებების მომზადება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების შესახებ;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის [redacted] შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების: [redacted] მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმის საფუძველზე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს ჩაუტარდა 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საქმიანობის შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას ესწრებოდა და განმარტებებს იძლეოდა: შიდა აუდიტორული შემოწმების პერიოდში, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მუნიციპალური ქონების მართვისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსი [redacted]

წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

სამსახურის უფროს 2020-2021 წლებში შედგენილი აქვს გაწეული მუშაობის შესახებ წლიური ანგარიშები.

სამსახურს მომზადებული აქვს 2020-2021 წლების ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სისტემური ცვლილებების მოხდენას ადგილობრივი ეკონომიკის ხელშეწყობისათვის.

სამსახურს საქართველოს ორგანული კანონის „ადილობრივი თვითმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ორგანიზებულ აუქციონებზე 2020 წელს საწყისი გასაყიდი ფასი 57147 (ორმოცდა ჩვიდმეტი ათას ას ურმოცდაშვიდი) ლარის ნაცვლად შესულია ბიუჯეტში 71424 (სამოცდა თერთმეტი ათას ოთხას ოცდაოთხი) ლარი. 2021 წელში - 35182 (ოცდათხუთმეტი ათას ას ოთხმოცდაორი) ლარის ნაცვლად შესულია ბიუჯეტში 42882 (ორმოცდაორი ათას რვაას ოთხმოცდაორი) ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2020 წლის ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმილი იყო 40.0 (ორმოცი ათასი) ლარი. სამსახურს დასუფთავების მოსაკრებელზე 2020 წელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 43116 (ორმოცდასამი ათას ას თექვსმეტი) ლარზე. ფაქტიურად ბიუჯეტში შესულია 44662 (ორმოცდათოთხი ათას ექვსას სამოცდაორი) ლარი, შემოსული თანხიდან ზოგიერთმა ორგანიზაციამ ზედმეტობით გადაიხადა თანხები, ამოსაღები თანხა დარჩა 5946 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაექვსი) ლარი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

2021 წლის ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმილი იყო 45.0 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი. 2021 წელს გაფორმებულია ხელშეკრულებები 50964 (ორმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდათოთხმეტი) ლარზე, შემოსულია - 74047 (სამოცდათოთხმეტი ათას ორმოცდაშვიდი) ლარი, შემოსული თანხიდან ზოგიერთმა ორგანიზაციამ ზედმეტობით გადაიხადა თანხები, ამოსაღები თანხა დარჩა 15458 (თხუთმეტი ათას ოთხას ორმოცდათვრამეტი) ლარი. არ არის გატარებული ღონისძიებები თანხების სრულად არ ჩარიცხვის შემთხვევებში.

სამსახურს 2020 წელს უძრავი ქონების იჯარაზე ხელშეკრულებები დადებული აქვს 61659 (სამოცდაერთი ათას ექვსას ორმოცდაცხრამეტი) ლარზე, ფაქტიურად ხაზინის ანგარიშზე შემოსულია 47878 (ორმოცდაშვიდი ათას რვაას სამოცდათვრამეტი) ლარი, სხვაობა შეადგენს 13781 (ცამეტი ათას შვიდას ოთხმოცდაერთი) ლარს. 2021 წელს დადებულია იჯარის ხელშეკრულებები 40801 (ორმოცი ათას რვაას ერთი) ლარზე, ფაქტიურად ხაზინის ანგარიშზე შემოსულია 13971 (ცამეტი ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი) ლარი, სხვაობა შეადგენს 26830 (ოცდაექვსი ათას რვაას ოცდაათი) ლარს. თანხები უმეტეს შემთხვევაში ირიცხება ხელშეკრულებაში მითითებული ვადების დარღვევით, რაზეც არ არის დარიცხული პირგასამტეხლო. არ არის გატარებული ღონისძიებები თანხების სრულად არ ჩარიცხვის შემთხვევებში.

სამსახურის მიერ რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, დასარეგისტრირებელია შემდეგი დასახელების ქონება:

1. სოფელ თეთრაწყაროში 79,5 კვ. მ. შენობა-ნაგებობა (ბიბლიოთეკა), საწყისი ღირებულებით 636 (ექვსას ოცდათექვსმეტი) ლარი.
2. სოფელ საქასრიის ხიდი, საწყისი ღირებულებით 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 2 ოთახი გადაცემული აქვს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონულ ორგანიზაციას და საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ადგილობრივ წარმომადგენელს ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე.

## 3. ძირითადი რისკები

ობიექტის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

## 4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოსაზრების განხილვის შედეგები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებაში აღნიშნული საკითხები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, კერძოდ, გათვალისწინებული იქნა: მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხი საკადასტრო კოდებით: 36.20.32.195, 36.20.32.198, 36.20.32.199, 36.20.32.197, 36.00.772, ასევე სოფელ ზედუბანში 20 კვმ შენობას (წისქვილი) და მათ

შესახებ, როგორც დაურეგისტრირებელ ქონებაზე მსჯელობა, ანგარიშიდან ამოღებული იქნება. რაც შეეხება, მოსაზრებას სოფელ თეთრაწყაროში 79,5 კვმ ფართის შენობასთან (ბიბლიოთეკა), სოფელ საქასრიის ხიდითან დაკავშირებით, ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან არ არის რეგისტრაცია განხორციელებული. განმარტებიდან ირკვევა, რომ აზომვითი ნახაზების შესყიდვის პროცესი ახლა მიმდინარეობს (ან არაა ჯერ დაწყებული). თუკი რეგისტრაციის პროცესი დასრულებული იქნება მონიტორინგის პერიოდისთვის, აისახება აქტში, როგორც შესრულებული რეკომენდაცია. მოსაზრებაში მოყვანილი საკითხები ანგარიშში მოხვდა, როგორც შეუსრულებელი, რადგან შემოწმების ობიექტმა დროულად არ მიაწოდა შიდა აუდიტორებს ინფორმაცია.

## 5. რეკომენდაციები

1. დასუფთავების მოსაკრებელის ტარიფის სრულად ამოღების სისტემის შემუშავება.
2. მოხდეს უმრავი ქონების ოჯარით გაცემული ხელშეკრულებების შესაბამისად თანხების სრული და დროული ამოღება.
3. გატარდეს ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.
4. მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაურეგისტრირებული უმრავი ქონების დარეგისტრირება.
5. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონულ ორგანიზაციას და საქართველოს სტატისტიკის სამსახურთან დაიდოს შესაბამისი ხელშეკრულებები მათი წარმომადგენლების მიერ მერიის შენობაში დაკავებულ საოფისე ფართებთან დაკავშირებით.

| | | |
|---|---|---|
| შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: | [redacted] | [redacted] |
| შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: | [redacted] | [redacted] |
| შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: | [redacted] | [redacted] |